საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი ნ. გ., /სიითი N/, ქ. ჯ., ბ. გ.

საჩივრის ავტორთა წარმომადგენელი: ადვოკატი მ. ძ. /სიითი N/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.11.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 137/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ხ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ხ.-ისათვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით, შემდგომში „დებულება“, გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2019 წლის 15 ნოემბერს საჩივრით მომართეს ადვოკატმა ნ. გ.-მ, მოქალაქეებმა ქ. ჯ.-მა, ბ. გ.-მ და მოითხოვეს ადვოკატ მ. ხ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორთა განმარტებით, 2019 წლის 13 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში საქმის განხილვისას, გარდაცვლილი ლ. ბ.-ს ანდერძის ნამდვილობის საქმეზე მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა, ადვოკატმა მ. ხ.-მ

მას გადასცა 2019 წლის 11 ნოემბრის შუამდგომლობა თანდართული დოკუმენტებით, რომელთა შორის იყო ინტერნეტიდან ამოღებული ინფორმაცია და საგაზეთო სტატიები. ერთ-ერთ სტატია არის გაზეთ ალიაში გამოქვეყნებული ცრუ ბრალდება მათ მიმართ.

1.3 ადვოკატმა მ. ხ.-მ სასამართლოს და მას გადასცა გაურკვეველი წარმოშობის ინფორმაციული ჩანაწერები, რაზეც მიუთითა, რომ ეს არის ინტერნეტ მედიის სტატიები, რომლებშიც ისინი მოხსენიებული არიან როგორც თაღლითი ქალები და თითქოს მათი თაღლითობის ქმედებებია აღნიშნული. ადვოკატი მ. ხ. ამით ყურადღებას ამახვილებდა მხარის წარმომადგენელ ნ. გ.-ისა და მოწმე ქ. ჯ.-ის პიროვნებაზე, თითქოს საქმე ჰქონდა თაღლითებთან.

1.4 საჩივრის ავტორთა განცხადებით, მ. ხ.-ის მიერ წარდგენილ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ნ. გ. იყო გარდაცვლილი ლ. ბ.-ს წარმომადგენელი, ჰქონდა წვდომა მის დოკუმენტებთან. ამით სასამართლოს ანიშნებდა თითქოს ნ. გ.-ს არ ჰქონდა უფლება ყოფილიყო სხვა პირის წარმომადგენელი, იმ ვითარებაში, როდესაც ის გარდაცვლილის უკანასკნელი ნების აღმსრულებლად ევლინება სასამართლოს.

1.5 ადვოკატი მ. ხ. მათ ამცირებს იმ განცხადებით, რომ უთითებს, თითქოს საქმეში წარმოდგენილი ანდერძი არის საეჭვო, რადგან ინახებოდა მათთან.

1.6 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატის მიერ სასამართლოში წარდგენილი საგაზეთო სტატიები, რომელიც დათარიღებულია 2015 წლის 6-9 ნოემბრით და ინფორმაცია, შემხებლობაში არ იყო მიმდინარე საქმესთან. ადვოკატი მიზნად ისახავდა მათი ღირსების შელახვას და დამცირებას. ასევე, მ. ხ.-ის მიზანს წარმოადგენდა, რომ ადვოკატ ნ. გ.-ს უარი ეთქვა დაცვის განხორციელებაზე თავისი ნებით.

1.7 მომჩივანთა განმარტებით, ადვოკატ მ. ხ.-ის კლიენტი არის შეზღუდულ ქმედუნარიანი და შესაბამისად, ადვოკატი ვერ დაეყრდნობა იმ არგუმენტს, რომ მან სასამართლოში წარადგინა კლიენტისაგან მიწოდებული ინფორმაცია.

1.8 2020 წლის 03 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორებმა დამატებით განმარტეს, რომ ადვოკატმა თავისი კლიენტის დასაცავად მათი უფლებები შელახა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მ. ხ.-მ 2019 წლის 16 დეკემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ ის იცავს ს. ბ.-ს.-ის ინტერესებს ორდერის საფუძველზე საქმეში, სადაც მისი კლიენტი წარმოადგენს მოპასუხე მხარეს. საქმეში მოსარჩელეა მ. კ., რომლიც ინტერესებს წარმოადგენს ადვოკატი ნ. გ.. დავა ეხება გარდაცვლილი ლ. ბ.-ს მიერ შედგენილი ანდერძის ნამდვილობას. მისი კლიენტი არის ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირი და დანიშნული ყავს მხარდამჭერი - დ. ლ.. მხარდამჭერს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება განახორციელოს მხარდაჭერა ს. ბ.-ს.-ის თანამონაწილეობით ანუ სასამართლომ მიიჩნია, რომ ბატონ ს.-ს შესწევს უნარი გადაწყვეტილების მიღებაში თავადაც იყოს ჩართული.

2.2 ადვოკატის განმარტებით, შეჯიბრებითობის პრინციპის ფარგლებში, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლოში მტკიცებულების სახით წარადგინა საჯარო სივრცეში გავრცელებული ინფორმაცია. კლიენტისა და მისი მხარდამჭერის მოთხოვნით მან სასამართლოში წარადგინა შუამდგოლობა, რადგან ისინი ეჭვს გამოთქვამდნენ სასამართლო გზით სადავოდ გამხდარი ანდერძის ნამდვილობაზე. ეჭვის საფუძველს იწვევდა ის გარემოება, რომ მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა მხოლოდ ნაბეჭდი ანდერძი, რომელსაც ხელს აწერდა ერთი მოწმე ქ. ჯ.. მათ მიერ შესაგებლის შეტანის შემდეგ, სადაც მიუთითეს ანდერძის ნამდვილობისათვის ორი მოწმის აუცილებელ მონაწილეობაზე, მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ წარდგენილი იქნა მეორე ანდერძი, ხელნაწერი. ამის გამო საჭიროდ ჩათვალეს სასამართლოსთვის სტატიების წარდგენა, რათა დაესაბუთებინათ ალტერნატიული ექსპერტიზის დანიშვნის საჭიროება.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ადვოკატი ნ. გ. ადრე სხვა საქმეზე ლ. ბ.-სთან ერთად წარმოადგენდა მისი კლიენტის ინტერესებსაც და ლ. ბ.-ს ბინასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია მისთვის ჰქონდა გადაცემული. ამის გამო მის კლიენტს გაუჩნდა ეჭვი, რომ მიმდინარე საქმეზე ადვოკატს ჰქონდა შესაძლებლობა ემოქმედა მის საწინააღმდეგოდ. შუამდგომლობაში გამოთქმული ვარაუდი მიზნად ისახავდა განმეორებითი/ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობის დადასტურებას.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მან სასამართლოს წარუდგინა საჯარო სივრცეში გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ყველასთვის. მის ინტერესს წარმოადგენდა კლიენტის საუკეთესო ინტერესის დაცვა და არა ვინმეს დამცირება ან ცილისწამება. მისი მხრიდან არც შუამდგოლობაში და არც სასამართლოს პროცესზე ადვოკატის ღირსების ან პროფესიული ღირებულების დამაკნინებელ ქმედებას, განცხადებას ან გარემოებას ადგილი არ ჰქონია.

2.5 2020 წლის 20 თებერვლის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ მის მიმართ ადვოკატმა ნ. გ.-მ საჩივრით მიმართა იურიდიული დახმარების სამსახურს, მისი განცხადება არ დაკმაყოფილდა. შუამდგომლობის დაყენების მოთხოვნა მომდინარეობდა მისი კლიენტისა და მხარდამჭერისაგან. საქმეზე ჩატარებული იყო 2 ექსპერტიზა ადვოკატ ნ. გ.-ის მხარის მიერ, რასაც მისი კლიენტი არ ეთანხმებოდა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობის შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. ხ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო სამართალი.

3.2 ნ. გ.-მ, ქ. ჯ.-მა და ბ. გ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს 2019 წლის 15 ნოემბერს.

3.3 სადავო მოქმედება განხორციელდა 2019 წლის 13 ნოემბერს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2)

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ მ. ხ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორთა პრეტენზია ადვოკატ მ. ხ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა სასამართლოში წარადგინა შუამდგომლობა, რომლითაც მიზნად ისახავდა მათ დამცირებას და შეურაცხყოფას.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. ხ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები; ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 7, მუხლი 10.1).

5.2.2 ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 9.4).

5.2.3 ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით; (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.1).

5.3 ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კლიენტი და წარმოადგინოს მისი კანონიერი ინტერესები მხოლოდ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ადვოკატმა ყველა ღონე უნდა იხმაროს კლიენტის ინტერესების დასაცავად სასამართლოში, მაგრამ ეს მოქმედებები სასამართლოში დადგენილი ქცევის წესებით და პროცესუალური კანონმდებლობით არის განსაზღვრული, რისი დაცვის ვალდებულება ასევე ეკისრება ადვოკატს (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომიისის 2011 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N010/10).

5.4 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ადვოკატის საქმიანობისათვის ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელად მიიჩნევს კოლეგიალობის პრინციპს. აღნიშნული პრინციპი უპირობოდ

გულისხმობს კოლეგების ღირსებისა და პროფესიული ღირებულებების დაცვას, რაც ადვოკატს ავალდებულებს კორექტული გამონათქვამებით შემოიფარგლოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ადვოკატი ვალდებულია პატივისცემა გამოხატოს კოლეგებისადმი, მიუხედავად მათი სამართლებრივად ან სხვაგვარად საწინააღმდეგო მოსაზრების არსებობისა. კოლეგიალობის პრინციპი ვერ ჩაითვლება მხოლოდ ფორმალურ ქცევათა შესრულების მოთხოვნად, იგი უდავოდ გულისხმობს ქცევის შინაარსობრივ მხარესაც, რაც აუცილებელია კოლეგებთან ურთიერთობის დროს (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15/04/2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე №1ბ/სპ-07-16).

5.5 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S and Z v Switzerland (განაცხადი N10414/83, 1984 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება) აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა.“

5.6 ადვოკატი მ. ხ. წარმოადგენს საჩივრის ავტორთა პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლობას, მხარე შორის მიმდინარე სამოქალაქო დავაში.

5.7 კოლეგიის შეფასებით, უდავო გარემოებაა, რომ ადვოკატმა მ. ხ.-მ 2019 წლის 13 ნოემბრის სხდომაზე წარადგინა 11 ნოემბრით დათარიღებული განცხადება მტკიცებულებების საქმისათვის დართვის თაობაზე, მათ შორის 4 ფურცლად გაზეთისა და ინტერნეტ მედიის სტატიები. საჩივრის ავტორთა პოზიციით, აღნიშნული ინფორმაცია არ უკავშირდებოდა მიმდინარე საქმეს და მიზნად ისახავდა მათ შეურაცხყოფას. საჩივრის ავტორთა პრეტენზიის საპასუხოდ ადვოკატი მ. ხ. განმარტავს, რომ შუამდგომლობის დაყენებისა და აღნიშნული დოკუმენტაციის სასამართლოსთვის მიწოდების მოთხოვნა მომდინარეობდა კლიენტის ს. ბ.-ს.-ის და მისი მხარდამჭერის დ. ლ.-ისაგან. შუამდგოლობა მიზნად ისახავდა კლიენტის ინტერესის გატარებას - საქმეზე კიდევ ერთი ექსპერტიზის ჩატარების დასაბუთებას და არა კოლეგის ან საქმეში მონაწილე პირთა შეურაცხყოფას; ასევე, მან გამოიყენა უკვე საჯაროდ გამხდარი დოკუმენტაცია, რომელიც მისმა კლიენტმა მოიძია ინტერნეტის მეშვეობით.

5.8 ეთიკის კომისია მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის საფუძველზე მიიჩნევს, რომ ადვოკატი მ. ხ. მოქმედებდა კლიენტის ინტერესების დასაცავად, იმ მიზნით, რომ საქმეზე ჩატარებული კიდევ ერთი ექსპერტიზა. ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ხ.-ის პროფესიულ ქცევაში არ გამოიკვეთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევა, შესაბამისად, წარმოდგენილი საჩივარი არ იძლევა ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს.

5.9 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N137/19 ადვოკატ მ. ხ.-ის მიმართ /სიითი N/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/